სახალხო გაზეთი+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
იოსებ ხითარიშვილი

● №2 (4625) ● 26 მარტი ● 2025 წელი ● ● ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი

რვა მარტი და გაზაფხული ერთად მოგვილოცნია!

გამარჯვება დაგებედოთ, 54-ე სკოლელებო!

გულითა გაუტეხელნო, მოუღალავნო მკლავითა!

მეც ვაჟასავით დაგლოცავთ: „მადლი გფენიათ მარჯვენაზედა!“ ძნელბედობის ჟამს მეტ თანადგომას იმსახურებთ. ბედნიერია დირექტორი, რომელსაც ძლიერი პედკოლექტივი ჰყავს და პირიქითაც. ხელმა ხელი დაბანა, ორივემ კი – პირიო.

არის ასეთი გამონათქვამი: „მძიმეა მონომახის ქუდიო“. ისტორიის მასწავლებლებმა ჩემზე უკეთ იციან, ვისზეა ეს ნათქვამი. ამ შემთხვევაში **ქეთევან ჩოქურია** ამის ადრესატი, გამობრძმედილი დირექტორი სკოლის. მას მხარს უმშვენებენ არანაკლებ გამოცდილი მოადგილე **თინათინ ტალიაშვილი** და პროფესიონალი პედაგოგები.

ახლა კი დროა, მკითხველო რომა, სკოლა გაიცნოს საქართველომა.

სკოლიდან საინტერესო მასალა მივიღეთ.

***

ორიგინალური წერილი

თბილისის 54-ე საჯარო სკოლა **სოფიკო ჭიაურელის** სახელს ატარებს.დიდ სიამაყესათან ერთად ეს დიდი პასუხისმგებლობაცაა.

ვინ იყო სოფიკო ჭიაურელი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა დღეს არავის გაუჭირდება. რთული არც მისი საოცარი როლებისა თუ ტიტულების ჩამოთვლაა. მსოფლიოში აღიარებულ არტისტს სამშობლოში ყველაზე კარგად იცნობენ და დღემდე სიყვარულით იხსენიებენ. ამჯერად ყურადღებას მისი პიროვნების ერთ უმნიშვნელოვანეს შტრიხზე გავამახვილებთ. ეს იყო თანაალმობის, თანაგრძნობის, თანაგანცდის საოცარი უნარი, ადამიანებისა და სამყაროს სიყვარულის უდიდესი ნიჭი, რაც უფლისაგან მხოლოდ იშვიათებს მიემადლებათ ხოლმე, რადგან „მრავალნი არიან ჩინებულ, მცირედნი -რჩეულ“. და სადაც არ უნდა მისულიყო, ყველგან სასურველი სტუმარი გახლდათ. სტუმარიც არა, ყველგან შინაური და ყველგან შინ იყო. ჩვენთვის, მისი სახელობის საავტორო სკოლის წევრთათვის მნიშვნელოვანი სწორედ ჩამოთვლილი ღირებულებებია, როგორც მორალური კომპასი.

ჩვენს სკოლაში ყოველ წელს აღინიშნება სოფიკო ჭიაურელის დაბადების დღე. ეს ღონისძიება მოსწავლეებს ესთეტიკურ ღირებულებებს უვითარებს. ამ დღეს მათ თავიანთი შემოქმედებითი ნიჭის გამოხატვის საშუალება ეძლევათ, ეცნობიან და იხსენებენ მაღალი ხელოვნების ნიმუშებს, ხვდებიან შემოქმედ ადამიანებს და რაც მათვარია, მზერა და სმენა ეჩვევა სილამაზის აღქმას, რაც სულიერად ზრდის ადამიანს, ხვეწს და უნატიფებს გემოვნებას.

უამრავი გამოწვევით სავსე 21-ე საკუნეში, როდესაც სამყარო ისე დავიწროვდა და ღირებულებები ისე აირია ერთმანეთში, რომ იფქლისა და ღვარძლის გამორჩევა ჭირს, რა შეიძლება იყოს სკოლის უმთავრესი მოვალეობა? ამ კითხვაზე უამრავი პასუხი არსებობს, მაგრამ მთავარი, ალბათ, მოსწავლეებისათვის იმ სიმშვიდისა და დაცულობის განცდა უნდა იყოს, რასაც მხოლოდ შინ გრძნობენ ადამიანები.

სამშობლოს განცდაც ხომ შინიდან იწყება?! ჯერ ჩვენი სახლი გვიყვარს, შემდეგ - ჩვენი ეზო, უბანი, ჩვენი სკოლა და პიროვნების ზრდასთან ერთად იზრდება ეს დიდებული გრძნობაც, რომელიც შემდეგ ზრუნვასა და პასუხისმგებლობაში გადადის, ბოლოს კი მოდის განცდა, რომ „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა”.

ჩვენი მოსწავლეებიც თავს შინ გრძნობენ, მშობლიურ გარემოში. აქედანვე ვასწავლით ზრუნვას ერთმანეთზე, უფროსის მიმართ პატივისცემას, ვუყალიბებთ პასუხისმგებლობას ერთმანეთსა და სასკოლო გარემოზე. საგაკვეთილო პროცესში ეჩვევიან ერთმანეთის აზრის ყურადღებით მოსმენასა და პატივისცემას, ეუფლებიან დებატების ხელოვნებას, უვითარდებათ უნარი, გამოთქვან განსხვავებული აზრი ისე, რომ ოპონენტს შეურაცხყოფა არ მიაყენონ. ეს ყველა სასკოლო აქტივობის ლაიტმოტივად იქცა. ასე იზრდება მათი ემოციური ინტელექტი.

მთავარი კი მაინც ადამიანების განურჩეველი და უპირობო სიყვარულია, თანაგრძნობის უნარი, ამიტომ წელიწადში ორჯერ, საშობაოდ და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის წინ ჩვენს სკოლაში იმართება საქველმოქმედო აქცია, სადაც მოსწავლეები თავიანთი პატარა ხელებითა და დიდი გულით რუდუნებით შექმნილ ნივთებს გამოფენენ ხოლმე გასაყიდად და შემოსავალს გასცემენ მათთვის, ვისაც ეს ძალიან სჭირდება. მაგალითად დიდი თამარი ჰყავთ.

ჩვენი პატრიარქი ბრძანებს: „ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ის როგორ იგრძნობს ცარიელ გულში სხვათა სამშობლოს სიყვარულს”?

სამშობლოს განცდა საკუთარზე ზრუნვითა და საკუთარის პატივისცემით მოდის.

სამშობლოსათვის თავგანწირულთა ხსოვნითა და მაგალითით, რაც ზნეობრივ ორიენტირად უნდა იქცეს.

სკოლის ეზოში არსებული აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ამ ქვეყნად არსებობს რაღაც ძალიან დიდი, რომლისთვის სიცოცხლეც ღირს და სიკვდილიც. ამიტომ ამკობენ ყვავილებით და უვლიან პატარა ბაღს, რომელსაც მემორიალი ამშვენებს.

დეტალებით იქმნება მთლიანობა.

მთლიანობა კი ისეთი მშვენიერი უნდა იყოს, როგორიც ჩვენი აღსაზრდელები არიან.

P.S. მრავალ რვა მარტს და გაზაფხულს დაგასწროთ უფალმა ბედნიერად და ჯანმრთელად, ძვირფასო 54-ე სკოლელებო!

აკაკი წერეთელი
გაზაფხული

დღეს მერცხალი შემოფრინდა, –
ჭიკჭიკითა გადმომძახა:
„გაზაფხული! გაზაფხული!”
გულს იმედი დამესახა.

მივდექ სარკმელს, გადვიხედე,
არემარე მესხვაფერა! –
სასოებამ ფრთა გაშალა,
გულსა მკრა და ამიძგერა!

სუნი მეცა გაზაფხულის,
უცნაური ვიგრძენ ძალი...
ვსთქვი, თუ: „გულსა რაღად ვიტეხ?
ახლოს არის მომავალი!

„მოვესწრები, რაც მინდოდა
ზამთრისაგან დაჩაგრულსა:
ვნახავ ქორწილს ბუნებისას,
გავიგონებ მის მაყრულსა.

„დავყნოს ვარდსა გადაშლილსა,
ვუჭვრეტ ნაზად დახრილ იას
და ბულბულიც გამაგონებს
მისებურად „ტია, ტიას!”

ლეილა ვადაჭკორია
მოიმღერის გაზაფხული

მერცხლის გუნდი მოფრინდა,
მოფრენილა წეროც და
ყინულს ფეხი დაუცდა
სახურავის წვეროდან.
ჟრიამული მოისმის
მინდვრებიდან, მდელოდან:
– გაზაფხულო, ენძელა
იცი როგორ გელოდა?
ჩითის კაბა ჩაიცვა
თვალჟუჟუნა იამა.
ქარი ჩადგა, ყვავილებს
გაუღიმა ნიავმა.
ჩაიარა ზამთარმა
ჭირხლით, თოვლით, ყინვითა.
ზამთრის დღეებს ბებიკო
სულ თითებზე ითვლიდა.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

წინასააღდგომო - „მშვიდობა თქვენდა!“

მზექალა დათიაშვილი-
აფციაური

მშვიდობა თქვენდა!

პირველი სიტყვა აღდგომისა,
უფალმა ბრძანა:
– „მშვიდობა თქვენდა!“ –
გალობაა, ღვთიური ნანა...
სულის სახმილი დიდი ბრძოლით
რაც მოგვიტანა,
რითაც ამრავლა სიყვარულით
მთელი ქვეყანა,–
საოცრებაა სამყაროსი!..
შევნატრით, განა?!.

– მშვიდობა მოგვეც ტკბილო ძეო!
განგვაძლე-თანა,
რომ იდღეგრძელოს მოდგმამ წმინდამ
და თესოს ყანა
დაუსაბამო სიკეთისა – „შენ სულთა-თანა!“

„მშვიდობა თქვენდა!“
გვირგვინია კაცობრიობის,
დათმენა, ტანჯვის, ვითარ სული
მწირი იობის,
ვითარ არწივის ექო
კლდეთა გამოჰკიოდის,
აღმოსავლეთით, ვით ცისკარი
გამოსჭვიოდის,
მზე სიყვარულის
სხივთა ფენით ამოდიოდის,
ვარდის სურნელი
მფეთქავ კვირტთა გადმოდიოდის,
ველურ იათა უცხო სუნთქვა
ხამ მოდიოდის...
ვით სამხრის სიოს მონაბერი,
ზღვითგან იოდის –
კურნავ სიყვარულს! –
და არავინ აღარ ჩიოდის!..

– „მშვიდობა თქვენდა!“ –
სულის ზღაპარს მოგვითხრობს სიტყვა!..
სიდიადეა ზეციური რაც ღვთისგან ითქვა;
მრავალ ქარტეხილს გაუძლო და
უკვდავი იქმნა,
– „მშვიდობა თქვენდა!“ –
უპირველეს, ღმერთი თვით იყვნა.

***

ღმერთი, ღმერთთაგანი –
ჩვენი სულის მკურნალად იქცა,
კაცობრიობის ზეაპყრობილ თვალთგან მოიქცა,
დიდმა სიმდაბლემ სიბრალულით ჩვენით მოიცვა...
შექმნილთ არ განგვკვეთს – აღსარებად ჯერ არს დროის ცა
და სამართალი აღსრულდება: ვინ? რად? მოიქცა...
ღვთის სიყვარული დიდ სიმშვიდეს
თავად მოიცავს!..
მშვიდობა თქვენდა!

ლიტდაიჯესტი - მედეა ნარსია

მედეა ნარსია

ემიგრანტებს

გზას ადგახარ ცარიელი ჩემოდნით,
თანაც ფიქრობ, ნეტავ იქ ვინ დაგხვდება?!
კითხვას უსვამ შენს თავს, თანაც არ იცი
წახვიდე,თუ იქნებ შინ ჯობს დარჩენა.

ფიქრობ რა ქნა,ნეტავ როგორ მოიქცე?!
იქნებ მართლა სახლში ჯობდეს დარჩენა,
მაგრამ მაინც წინ მიდიხარ იმედით,
ჯერ არ იცი რაა ემიგრანტეობა.

ემიგრანტი - სიტყვა ვინ მოიგონა?
სიტყვა არის ისე, რბილად ნათქვამი,
ამ სიტყვაში ხომ დიდი ტკივილია,
ტანჯვა არის და წამება, მართალი.

იმ დარდს ,ტკივილს ვერაფერი უშველის,
ვერც დოლარი რასაც სახლში აგზავნი.
ვერც სასახლე თუნდაც რომ.ააშენო,
რადგან უკვე ნერვები გაქვს დამწყდარი.

ვიყოთ სახლში ,ვჭამოთ ის ლუკმა პური,
რაც უფალმა ჩვენთვის გამოიმეტა
სჯობს ვუყუროთ შვილი როგორ იზრდება,
ვეფეროთ და ვიყოთ უფლის იმედად.

ლამაზ ქალს

ვინა თქვა ქალი ბერდება
ქალმა სიბერე რა იცის.
მუდამ ხატია სინაზის
წლებს ქალი აღარ განიცდის

უფლება არ აქვს დაბერდეს
სათნოა,თან ფაქიზია,
სულ რომ უყვარდეთ ძალიან,
ქალი ,ხომ ამის ღირსია.

ვინათქვა ქალი ბერდება
ნუ უთვლით სახეს ნაოჭებს,
ნაოჭი სულის შტრიხია
ესკიზია,ასე რომ.გვაოცებს.

წუხილი

ისევ ვბრუნდებით წარსულში,
იხსნება ძველი იარა.
ერის წუხილი მაწუხებს
ჩემი ტკივილი კი არა.

მაწუხებს ერის წუხილი,
გულს მიკლავს ერის გოდება,
შავ-თეთრი არეულია
უნდათ ჩინი და წოდება.

ვეღარ ისწავლა ქართველმა,
ჭირში ქართველის გატანა.
ღმერთო! სამშობლო მიდიდე
არ გაახარო სატანა.

* * *

რა ვქნა დედი მომეძალა
მონატრების სევდა.
წლები გადის,გულს აკლიხარ,
მენატრები დედა.

მენატრება შენი სითბო
სიყვარული დიდი.
ის დრო, როცა ჩემთან იყავ,
სიყვარულით დიდით.

წუთით მაინც მომაშუქე
შენი სულის სითბო.
წლები გადის, გულს აკლია
დედი შენი სითბო.

სახალხო განათლება+

„სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამ!“



ვაჟას ერთ-ერთი მხედარი ამბობს: „მას მერე სულ ომებში ვარ, როს მკერდს მამწყვიტა დედამა“. ასეა **თამარ გურაშვილიც** პედაგოგად გაუჩენია ღმერთსო, მასზე ითქმის. ბავშვობიდან უყვარდა ეს პროფესია და იქიდან არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.

დიდი ხანია, ვიცნობ. უფრო ზუსტად, კახეთიდან თბილისის 152-ე სკოლაში გადმოსვლის დღიდან. ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ.

დავუკავშირდები, კახელების სიძე ვარ-მეთქი (კახეთიდან მყავდა მეუღლე), გაეცინება, იცის ვინა ვარ და რა მინდა.

ვფიქრობ, რით არის **თამარ გურაშვილი** ყოფილი სსრკ სახალხო დირექტორ **გრიგოლ კობახიძეზე** (77-ე სკოლა). ნაკლები? არაფრით. ბატონი გრიგოლი გაცილებით უკეთეს პირობებში მოღვაწეობდა. 152-ე სკოლა კი სხვის ჭერქვეშ არის შეფარებული.

ამ პრობლემაზე წუხილი მალე შეგცვლოდეს მღერაზედ! (ვაჟა)

ვთხოვე, მოეწერა რამე თავის პედაგოგიურ ცხოვრებაზე და აჰა, ისიც:

წლების წინ განგებამ სკოლის დირექტორად განმაწესა, მალე ვიპოვე საკუთარი თავი და საქმე, რომელიც შევიყვარე. მივხვდი, სწორი არჩევანი გავაკეთე, მას შემდეგ 35 წელი გავიდა, ამ წლების მანძილზე ვიყავი მათემატიკის მასწავლებელიც და ლიდერიც.

სკოლის ლიდერობა თანდათანობით ჩემი ცხოვრების მიზანი გახდა. სკოლასა და მხოლოდ მასწავლებლებს შეუძლიათ თავისი გაკვეთილებით, სწორად აღზრდილი თაობებით შეცვალონ ქვეყნის მომავალი უკეთესობისკენ, რადგანაც მომავალი განათლებაშია და გადარჩენის გზაც სკოლაზე გადის.

თბილისის 152-ე საჯარო სკოლაში 2010 წლიდან დავინიშნე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად და შემდგომ სამეურვეო საბჭომ უკვე ორჯერ ზედიზედ ამირჩია დირექტორად.

დამეთანხმებით, ადვილი არ არის ზიდო ის დიდი პასუხისმგებლობის ტვირთი, რასაც ათასობით მშობლის, მასწავლებლისა თუ მოსწავლის მოლოდინი გაკისრებს. არაფერია იმაზე საამაყო და საპატიო საქმიანობა, ვიდრე ახალგაზრდობის აღზრდა, მათთვის სწორი მიმართულების მიცემა.

ბევრი შრომა დაგვჭირდა იმისათვის, რომ მოგვეპოვებინა სასკოლო საზოგადოების ნდობა და პატივისცემა, მათთან ერთად ჩამოგვეყალიბებინა სკოლის ღირებულებები და კულტურა, აგვეთვისებინა ყველა საგანმანათლებლო პლატფორმა.

სკოლა ხომ ერთი დიდი ოჯახია, რომელიც ყოველდღიურად ვითარდება, იზრდება თაობები მრავალმხრივი განვითარებით, ინტერესების რეალიზებით.

ვფიქრობ, ეს წლები ჩემს სასკოლო საზოგადოებასთან ერთად ნაყოფიერად გავატარე.

გუნდურობა, ურთიერთპატივისცემა, მშვიდი სასწავლო გარემო, ნაყოფიერი თავდაუზოგავი მუშაობა გვაძლევს ჩვენი შრომის შედეგს. ყველა მათგანის დასახელება გამიჭირდება, მაგრამ არ შემიძლია არ დავასახელო ოლიმპიადებში და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში მოსწავლეთა სიმრავლე, **„ფლექსის”** პროგრამაში გამარჯვებული **მანანა გაჩეჩილაძე**, რომელმაც სწავლა გააგრძელა ამერიკის შეერთებულ შტატებში და იქიდან ოქროს მედლით დაბრუნდა, ასევე ეროვნულ ბიბლიოთეკაში **„გალფისა”** და **„პეტროკას ენერჯი ჯგუფის”** ახალი პლატფორმის **„მომავალი ჩვენია”** პრეზენტაციაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე 100 მაღალქულიანი პირველკურსელთა შორის შეირჩა ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლეები: **თეკლა ბაბლიშვილი** და **ანასტასია ლობჟანიძე**, რომლებიც დაჯილდოვდნენ ყოველთვიური **300-ლარიანი სტიპენდიით**. ასევე, **„ეტალონისა”** და **izrune.ge** პროექტში გამარჯვებული ოჯახი **ალექსანდრე ქერეჭაშვილი** და მისი დედა **მარიამ მიქელაძე**. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამართულ კონკურსში – **„ჩემი თვალით დანახული აფხაზეთი”** – გამარჯვებულ 10 საუკეთესო სკოლებს შორის მოხვედრა და დაჯილდოება. ასევე ისან-სამგორის რაიონის სკოლებს შორის გამარჯვება პროექტში – **„აფხაზეთი საქართველოა”.** პროექტში მონაწილე გამარჯვებული მასწავლებლები და მოსწავლეები დაჯილდოვდნენ ტაო-კლარჯეთის საგზურით, რომელმაც მისცა მათ საშუალება დაეთვალიერებინათ ისტორიული ადგილები. ასევე თბილისის 152-ე საჯარო სკოლამ მონაწილეობა მიიღო მასწავლებლის სახლის მიერ გამოცხადებულ **eTwinning**-ის საერთაშორისო პროექტში სახელწოდებით „**Love Letters 2/ სიყვარულის წერილები 2**”. მივიღეთ ეროვნული ხარისხის ჯილდო.

ამ წარმატებების მისაღწევად ერთმანეთის გვერდით დაუღალავად შრომობენ მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები.

მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს სასკოლო საზოგადოებას ნდობისა და თანადგომისთვის, მადლობა ჩვენი მოსწავლეების მშობლებს, რადგან ისინი გაგებით მოეკიდნენ სკოლის ადგილმონაცვლეობის გამო დღის მეორე ნახევარში მიმდინარე სასწავლო პროცესს, ისინი ითავისებენ ჩვენს ყველა პრობლემას და მშვიდად ელოდებიან ახალი სკოლის აშენებას.

მადლობა ჩემს მასწავლებლებს დაუღალავი შრომისთვის, გუნდურობისთვის, მიღწეული წარმატებისთვის.

მადლობა ჩემს მოსწავლეებს სიამაყის, სიხარულისა და ბედნიერების მონიჭებისთვის.

წინ ახალი გამოწვევებია, მე, როგორც კვლავ ამ სკოლის ლიდერს, იმედი მაქვს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერის, წარმატების მიღწევის, რომ კვლავაც აღვზრდით ღირსეულ თაობებს, რომლებიც თავის წვლილს შეიტანენ ქვეყნის ბედნიერი მომავლის შენებაში.

ასევე დიდი მადლობა თქვენ, ქალბატონო თამარ „ენა, მამული, სარწმუნოების“ ერთგულად მსახურებისთვის.

გისურვებთ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას.

წერილს ერთი საბავშვო პოეტის სტრიქონების მიძღვნით დავასრულებ: „დედა, ია დაგიკრიფე, ლურჯთვალა კოპწია, რვა მარტი და გაზაფხული ერთად მომილოცნია!“

ბორის მიშველაძე,
საქ. დამს. ჟურნალისტი

სიტყვა და საქმე

წარმატებული – შინ და გარეთ

თუ ანალიტიკურ გონებას წვეთ წყალზე დაკვირვებით ამქვეყნად ოკეანეებისა და ზღვების წარმოსახვა ძალუძს, მაშინ ამა თუ იმ პიროვნების განვლილი გზის განზოგადებით, იმის ცხადყოფაცაა შესაძლებელი, როგორ უნდა იაროს, ან არ იაროს ადამიანმა ცხოვრების გზაზე. რა და როგორ უნდა აკეთოს, ან – არ აკეთოს, როგორ გამოსჭედოს ბედი თვისი.

მერი ნაკაშიძის სახელობის ხელოვნების მე-17 სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა **ნელი გეფერიძე-ჩაჩუამ,** 2011 წლიდან რომ უდგას სათავეში ამ სასწავლებელს, 56 წლის წინ აირჩია სავალი – მუსიკის ზეაღმტაცი სამყარო და იქიდან მოყოლებული, მთელი შეგრძნებით, სულითა და გულით ემსახურება მუსიკის მეშვეობით ყმაწვილების სულების გაფაქიზების, მუსიკის სამყაროსთან მათი ზიარების ერთობ რთულ, მაგრამ მადლიან საქმეს.

თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მოედინება. ანუ, როცა ასეთი ხელმძღვანელია, კოლექტივიც შესატყვისი იქნება. და ასეცაა: მისი მოადგილე, შესანიშნავი ხელოვანი, ქალბატონი **ნანა მეთოფიშვილი** უკვე 50 წელია მუშაობს ამ სკოლაში და ფორტეპიანოს კლასის პედაგოგია. საფორტეპიანო, საორკესტრო (ვიოლინო, გიტარა), საესტრადო სიმღერის განყოფილებებში მუშაობენ ღვაწლმოსილი პედაგოგები: **ნელი გეფერიძე-ჩიჩუა, ნანა მეთოფიშვილი, ნატალია პონომარიოვა, სვეტლანა შავერდიანი, თინათინ იმერლიშვილი, ციცინო ნარიმანიძე, ოლღა ვართანოვი, ნატო დევდარიანი, ლელა დაუშვილი.**

ასე ზოგადად ადვილად ითქმება: სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ მრავალ კონკურსსა და ფესტივალშიო, მაგრამ ამ ზოგადი ფრაზეოლოგიის მიღმა ხომ სკოლის თითოეული პედაგოგის ყოველდღიური, მიზანმიმართული, შემოქმედებითი შრომა დგას. როგორია, ჩაწვდე ყოველი ყმაწვილის ბუნებას, ამოაწვდინო მისი ნიჭი და უნარი, სწორედ მისი შესაძლებლობების შესატყვისი ნაწარმოებები შეურჩიო და ისე ატარო მარტივიდან – რთულისაკენ, რომ ინტერესი უფრო და უფრო გაუძლიერო, დაარწმუნო თავის შესაძლებლობებში, სულიერად გააძლიერო და ასე დააოსტატო.

ხელოვნების მე-17 სკოლის პედაგოგები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, წარმატებით ასრულებენ ამ რთულ ამოცანას და სწორედ ამის შედეგია მათი აღსაზრდელების მრავალი თვალსაჩინო წარმატება რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ასპარეზებზე.

პედაგოგთა ღვაწლის ერთი, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი დასტური ისიცაა, რომ ბევრი კურსდამთავრებული სწავლობს ნიჭიერთა ათწლედში, **ვანო სარაჯიშვილის** სახელობის კონსერვატორიასა და საზღვარგარეთაც. მაშ, სკოლამ არათუ ასე ძალუმად შეაყვარა მუსიკის ზეაღმტაცი სამყარო, არამედ მისცა ის მყარი ცოდნა, რასაც დაეფუძნა კურსდამთავრებულთა წარმატებები გაცილებით „მაღალ რეგისტრში“.

ასეთი კურსდამთავრებული, საბედნიეროდ, სკოლას იმდენი ჰყავს, ამ პატარა წერილში მათი ჩამოთვლა ძალზე გაჭირდებოდა. ამიტომ მხოლოდ ბოლო წლების წარმატებულ კურსდამთავრებულებს წარმოვაჩენთ: **ვალენტინა ოგანეზოვმა ნიჭიერთა ათწლედი დაამთავრა ფორტეპიანოს კლასით; თამაზ კაკაბაძემ – გერმანიის ბრემენის ხელოვნების გიმნაზია; გაგი სიხარულაშვილმა – ჯერ ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტი, შემდეგ – დანიის ორჰუზის კონსერვატორია; შმაგი სიხარულაშვილმა – ნიჭიერთა ათწლედი, ავსტრიის – ვენის გვდ-ს მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტი.**

თავში წვეთ წყალზე დაკვირვებით შესაძლო წარმოსახვაზე ვთქვით. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ ამ პატარა წერილის საფუძველზეც შეგვიძლია დარწმუნებით თქვათ, რაოდენი შემოქმედებითი, ყოველდღიური მიზანმიმართული შრომა დუღს ხელოვნების მე-17 სკოლაში და ამ შრომაზე დაფუძნებული რაოდენი წარმატება უდევს წინ ამ თვალსაჩინო, გამორჩეულ სკოლას.

ეკატერინე გურგენიძე

პროფესიონალები

ყმაწვილებზე მორგებული „ოქროს გასაღები“



მაინც რა არის პედაგოგის, პედაგოგის მოღვაწეობის საფუძველთა-საფუძველი? ალბათ, ბავშვების გულებისაკენ მიმავალი ბილიკის გაკვალვა და შემდეგ ამ ბილიკის ფართო შარაგზად გარდაქმნა; ისეთი „ოქროს გასაღების“ გამონახვა, ყმაწვილების ნიჭსა და უნარს, მიდრეკილებებს რომ მოერგება და ასე განავითარებს მათ.

ალექსანდრე ნიჟარაძის სახელობის ხელოვნების 27-ე სკოლის პედაგოგებს, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ღირსების ორდენის კავალერი, ევროპის პედაგოგთა ასოციაციის „EPTA GEORGIAS“ საპატიო წევრი ქალბატონი **ნანა სუთიძე** რომ უდგას სათავეში, ასეთი იმდენი გასაღები აქვთ, რამდენი მოსწავლეც ჰყოლიათ და ჰყავთ. მათი მიზანია – და ამას აღწევენ კიდეც – ყოველი ყმაწვილის შინაგანი ბუნებიდან სათუთად ამოაწვდინონ ღვთით ბოძებული, მაგრამ თავად ბავშვებისთვის ჯერ გაუცნობიერებელი ნიჭით, სწრაფვა და, სწორ კალაპოტში ჩაყენებული, ატარონ კლასიკური მუსიკის ზეაღმტაცი სამყაროს რთულ, მაგრამ უზომოდ მადლიან გზაზე.

ასე აკვალიანებს, ასე ატარებს ამ ზეაღმტაც გზაზე ყმაწვილებს ხელოვნების 27-ე სკოლა დაარსებიდან – 1978 წლიდან მოყოლებული.

საბჭოთა ხანს, ყველანაირად ჩქმალავდნენ პიროვნების როლს ისტორიის განვითარებაში, რა გინდა რა საქმის წინსვლაში.

მაგრამ სწორედ ისტორია ადასტურებს საპირისპიროს და სკოლის თვალსაჩინო წარმატებები, სასკოლო, საქალაქო ეროვნულ თუ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში, ცხადია, სათანადო ხელმძღვანელის გარეშე ასე უხვი ვერ იქნებოდა. ქალბატონი ნანა, 1991 წლიდან რომ უდგას სათავეში ხელოვნების 27-ე სკოლას, სასწავლო დარგში მოადგილესთან, ქალბატონ **დარეჯან ადამიასთან** ერთად, სწორად წარმართავს საკადრო პოლიტიკას, კოლეგიალურ, ურთიერთპატივისცემის, თანადგომის გარემოს ქმნის და დიდებული შედეგებიც სახეზეა.

სკოლა რთული ორგანიზმია და მისი წარმატებები ყოველი წევრის ურთიერთშეთანხმებული, თანაბარზომიერი მუშაობით მიიღწევა და ეს მისი ხუთივე განყოფილების პედაგოგთა დამსახურებაა.

საფორტეპიანო განყოფილება: **ნანა ხმალაძე, ქეთევან დავლაშერიძე, ნანა ხარაბაძე, ირინა ლეზგიშვილი, ნინო ბერძენიძე, ანჟელა გრიგორიანი, მარიამ აგამირიანი, ანა დადიანი, ნონა ჭეჟია;**

თეორეტიკოსები: **მარინე ჭოლაძე, მანანა მექერიშვილი, დარეჯან ადამია, ნათელა თარაძე;**

ქართულ-ხალხურ საკრავთა განყოფილება: ღირსების ორდენის კავალერი – **ემზარ ხელაძე;**

საესტრადო სიმღერის განყოფილება: კომპოზიტორი – **ნანა დაუშვილი, მანანა ბალამწარაშვილი;**

საორკესტრო/გიტარა/განყოფილება: **ბელა რუსიშვილი;**

გამოყენებითი ხელოვნების/ რეწვა/ განყოფილება: – **მაგდანა მაისურაძე.**

სკოლის ყველა წარმატებული მოსწავლის ჩამოთვლა ძალზე გაგვიგრძელებდა სიტყვას. ამიტომ, მხოლოდ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატებს დავასახელებთ: **ელენე მაისურაძე** (მასწავლებელი – **ნანა სუთიძე**); **ვიტალი სოფრომაძე (ქეთევან დავლაშერიძე); ლამარა აბაშვილი (ქეთევან დავლაშერიძე); ანდრია**

კოპაძე (ნანა ხმალაძე); მათე მარტიაშვილი (ნანა ხმალაძე).

ასევე წარმატებულნი არიან ქართულ-ხალხურ საკრავთა ანსამბლ „კანდელის“, საესტრადო და გამოყენებითი ხელოვნების განყოფილებების მოსწავლეები.

სკოლის 45 წლისთავი საიუბილეო კონცერტით აღინიშნა. მოწვეულები იყვნენ პიანისტ **ალექსანდრე ნიჟარაძის** მეუღლე, ქალბატონი **ცისანა დოლიძე** და ქალაქ თბილისის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები.

ცხადია, ნათქვამზე გაცილებით მეტი უთქმელი დაგვრჩა, მაგრამ, იმედია, ამ მცირე წერილშიც წარმოჩინდა ხელოვნების 27-ე სკოლის ღვაწლი ყმაწვილების მუსიკის სამყაროსთან ზიარებაში. და ამ წარმატებების ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი დასტური ისიცაა, რომ ქალბატონ **ნანა სუთიძეს** მუსიკის დოქტორის წოდება მიენიჭა.

ეკატერინე ხატიაშვილი

სიტყვა 48-ე სკოლაზე

სამაია სამთაგანა

ამ ხალხური ცეკვა-სიმღერის ერთ-ერთი წამყვანი მონაწილეა თბილისის 48-ე საჯარო სკოლა.

აი, როგორ მოხდა ეს: ათი წლის წინათ, განათლების სამინისტრომ სამი მეტად აქტიური პედაგოგი დირექტორად დააწინაურა 115-ე სკოლიდან. **ფიქრია ღამბაშიძე** მშობლიურ სკოლაში დარჩა, **თამილა გვარამაძე** 159-ეში გადაიყვანეს, ხოლო **ირმა ფუხაშვილი** 48-ეს ჩაუყენეს სათავეში.

ერთი სიტყვით, ქალბატონი ირმა, როგორც სკოლის დირექტორი, იუბილარი გახლავთ.

თავიდანვე გამოიჩინა მან თავი, როგორც წარმატებულმა ორგანიზატორმა: ერთი მიზნისკენ დარაზმა პედკოლექტივი, გააძლიერა, კარიერულ წინსვლაში ხელი შეუწყო. სკოლა უბანში უფრო მოთხოვნადი გახადა, რისი მოწმეც მე, ამ სტრიქონების ავტორი თავად გახლავართ.

ირმას არ უყვარს ქება. ამიტომ არის, რომ ჩემს თხოვნაზე მეტად მწირი ინფორმაცია მოგვაწოდა. თუმცა მის უკან, ქვეტექსტებშიც კარგად იკითხება, რა საინტერესო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი ჩქეფს მის წიაღში.

მოდით, გავეცნოთ ამ ტექსტს და თავად გავაკეთოთ დასკვნა, მკითხველო.

პირველი სემესტრის შედეგებს არ ვემდურით

თბილისის 48-ე საჯარო სკოლა მდებარეობს ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბანში.

სკოლამ 2024 წელს გაიარა სრული ავტორიზაცია და აგრძელებს საგანმანათლებლო მოღვაწეობას და როგორც მრავალი წელი, კვლავ გულისხმიერად ემსახურება მომავალი თაობების აღზრდას.

სკოლას ჰყავს არაჩვეულებრივი პედაგოგიური კორპუსი. თითოეულ პედაგოგს აქვს მაღალი, დადასტურებული კომპეტენცია. სკოლის 51 პედაგოგიდან 1 პედაგოგი მენტორია, 10 — წამყვანი, 40 – უფროსი. სკოლაში აქტიურად მუშაობენ საგნობრივი კათედრები. ტარდება ინტეგრირებული გაკვეთილები, პროექტები, აქტიურად მუშაობენ კლუბები.

სკოლა ხელმისაწვდომია ყველა შესაძლებლობის მოსწავლისთვის, ადაპტირებულია გარემო და აღჭურვილია საჭირო რესურსებით.

მიმდინარე წლის პირველი სემესტრის შედეგებს დადებითად შევაფასებდი. აქტიურად მიმდინარეობს მეორე სემესტრიც.

დიახ, ეს გვაძლევს საფუძველს, მეორე სემესტრი უფრო უხვმოსავლიანი იყოს.

გილოცავთ გაზაფხულს, 48-ე სკოლელებო!

ბორის კინდღელი

გაზაფხულს გილოცავთ, მე-60 სკოლელებო!

„გაუმარჯოს ძმად შეფიცვას, სიყვარულს და მეგობრობას!“

ვიცი შესავალი მეტად პათეტიკურია, მაგრამ „აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ შემიძლია“. ეს პათეტიკა ზუსტად მიესადაგება მე-60 სკოლელთა ცხოვრებას, საქმიანობას. განსაკუთრებით შეეფერება ჩვენი გაზეთისა და ჩემს ურთიერთობას ბატონ **შოთა მალაზონიასთან.** თითქმის ოცდაათი წელია ძმურად ვთანამშრომლობთ. არ მახსოვს, რამე მეთხოვოს და მას უარი ეთქვას. ათ წელიწადზე მეტი უძღვებოდა 147-ე სკოლას. ააღორძინა, გააძლიერა, ბრწყინვალე პედკოლექტივი დატოვა. გული არ დაწყდაო, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. არანაკლები ამაგი მიუძღვის მე-60 სკოლაში. სკოლისთვის თავშეწირულია. მინდა ერთ დიდ დირექტორს ვამსგავსო, რომელსაც გვარიც უწყობდა ხელს. ის იყო **ლიანა შეწირული** – კლასიკური გიმნაზიის დირექტორი. დღეს ამ გიმნაზიას შესანიშნავი მემკვიდრე უძღვება **თამარ კაპანაძის** სახით.

მოდით, ახლა მესამოცე სკოლაზე ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

მეორე სემესტრი უფრო ნაყოფიერი იქნება

სკოლის ხედვა ეფუძნება პრინციპს, რომ იყოს მუდმივ განათლებაზე ორიენტირებული, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს მორგებული, შედეგზე გამიზნული სასწავლო პროცესი.

გვყავს 72 მასწავლებელი (67 საგნის მასწავლებელი და 5 სპეციალური მასწავლებელი). 2 მენტორი მასწავლებელია, 15 წამყვანი, 49 უფროსი და 1 მოწვეული მასწავლებელი. ხუთ სპეციალურ მასწავლებელს აქვს უფროსი მასწავლებლის სტატუსი.

სკოლის დირექციას წარმოადგენენ: დირექტორი – **შოთა მალაზონია**, მისი მოადგილეები – **ნინო ლომთათიძე** და **ნანა ჩოხელი**, ბუღალტერი – **მათიკო დავითაშვილი**. სკოლის ადმინისტრაციას წარმოადგენს: საქმის მწარმოებელი – **მაია თეზელაშვილი**, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი – **რევაზ დანელია**, საინფორმაციო მენეჯერი – **თამარ ანდრიაძე,** ბიბლიოთეკარი – **მაკა ქვრივიშვილი.**

სკოლაში მოქმედებს 7 საგნობრივი კათედრა, რომლებშიც გაერთიანებულია საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი.

სასწავლო პროცესებთან ერთად აქტიურ ფაზაშია მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობები შემოქმედებით-შემეცნებითღონისძიებებში, კონკურსებში. თვალსაჩინოა სპორტული მიღწევები. არსებობს კულტურის კლუბი, საგნობრივი წრეები. სრულდება საინტერესო პროექტები ყველა საგნის მიხედვით.

მყარ საფუძველზე დგას დაწყებითი განათლება. პრეზენტაციების, ჯილდოების „რა სიუხვეა, რა სიმრავლეა“ (გალაკტიონი).

კლასის დამრიგებლები ნაყოფიერად შრომობენ, თავიანთ კლასებში პატარა დირექტორები არიან. იმდენი მასალა მომაწოდა სკოლამ, მის ჩამოთვლას ნახევარი გაზეთი არ ეყოფა. კიდევ არის ღირსშესანიშნავი დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ჩამონათვალი, იუბილეები „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი“ და მრავალწერტილი.

ბოლოს, მუხრან მაჭავარიანის პერიფრაზით მოგმართავთ: კიდევ ბევრი სასახელო გამოზარდე, ჩემო სკოლავ, კიდევ ბევრი პატრიოტით ქვეყანა რომ ასახელო, გაგიმარჯოს, ჩემო სკოლავ, გაგიმარჯოს საქართველოვ!

ბორის მიშველაძე,
საქ.დამს.ჟურნალისტი

P.S. რედაქტორის მინაწერი: უღრმესი მადლობა დირექტორს, ბატონ **შოთა მალაზონიას** ჩვენს გაზეთთან თანამშრომლობისათვის!

როცა ვცოცხლობთ პოეზიის იმედით

ანზორ მაჭარაშვილი

გურამ დოჩანაშვილის „სამ ძმა კეჟერაძეში“, ლიტერატურის ძალზე მოყვარული ვასიკო ამბობს, მე თუ სანოველე ვარ, ჩემი ძმა ნაღდი სარომანეაო.

ანზორ მაჭარაშვილმა ისეთი გრძელი, ერთობ ძნელად სავალი, ღირსებით რომ იარა, იმდენი იტვირთა და ლელო მაინც გაიტანა, იმდენი მადლი მოისხა ყმაწვილების ალზრდის, დაკვალიანების, ცხოვრების ზღვაში მეობითა და ცოდნით შესაცურებლად, რომ გრძელი მოთხრობის, რუსულად „ოჩერკის“ ღირსი ჭეშმარიტადაა.

არის ქართული სიტყვა _ „დაუდეგარი!“. სწორედ ასეთია გატონი ანზორი. ვერ ისვენებს, უფრო ზუსტად, ამ ქვეყნის ავ-კარგი არ ასვენებს და თავის სამრეკლოდან არისხებს ზარებს, სიფხიზლისა და ურთიერთსიყვარულისკენ გვიხმობს; სამშობლოს ესათუთება, რასაც მისი მდიდარი პუბლიცისტური პოეზიის ეს ნიმუშებიც ცხადლივ ადასტურებს.

***

ასე ეგონა, არვინ იყო მისი სადარი

დიდხანს არ ცოცხლობს ჩვენი მოდგმა ამ ქვეყანაში,
ერთს მეორე ცვლის: ასეთია წესი, ბუნება,
ფორმა გვეცვლება, სილამაზეს ვკარგავთ თანდათან,
არავის ძალუძს სიყმაწვილის შენარჩუნება.

წარსულს იგონებს ხანდაზმული ჩუმი შეგრძნებით,
როცა „მას“ შეხვდა – მოეწონა, ნახა მშვენება,
„მანაც“ შეხედა, შეამჩნია მოჯადოება,
თვალს რომ სტაცებდა მისი სახის გასხივოსნება.

მორცხვად ხვდებოდა, მორიდებით ესალმებოდა,
ასე ეგონა, არვინ იყო მისი სადარი,
ბევრჯერ ეცადა სიყვარულის, გრძნობის გამხელას,
ვერ მოახერხა გამოეთქვა სიტყვა ამგვარი.

დრო გადიოდა, იცვლებოდა სივრცე, ფუნქცია,
აღარ ხვდებოდა, თვალს დაშორდა მისი არსება.
ბედმა ატარა, სად არ იყო, ვინ არ უნახავს,
მაგრამ სხვებს შორის მან ვერ ნახა მისი ხატება.

ხანშიშესული მასზე ფიქრებს ისევ აგრძელებს,
სადარდელად აქვს, რომ არიან დღემდე უბრები,
ვერ დაივიწყა, თვალში უდგას და ესიზმრება,
ძილში ჰგონია, ერთმანეთის გახდნენ სტუმრები.

და რომ ეს გრძნობა სატანჯველად არ გადაექცეს,
შესთხოვს დიდ უფალს, ამ ქვეყნას დიდხანს შემორჩეს,
იქნება, შეხვდეს და გაბედოს უთხრას სათქმელი,
რომ განიკურნოს სენისაგან და რომ გადარჩეს.

ბიბლიის მიხედვით, ქმარი მეფეა, ცოლი კი — დედოფალი

დონალდ ტრამპის მოხსენების სოლიდარობად

ოჯახურ ციხე-სიმაგრეს არ ელოდება დანგრევა,
თუ ქმარი ხელმწიფე არის ცოლი კი დედოფალია,
ხოლო როდესაც ორივე ითხოვენ თანასწორობას,
მეფის ტახტი ორს ვერ იტევს და ჯანყი გარდუვალია.

სქესთა სხვაობას მკაცრად იცავს გამჩენი ღმერთი,
რითაც მყარდება თაობების ცვლათა ფუნქცია,
დამღუპველია ყველა პირის გათანაბრება,
გამოცდილებით, მას სიკეთე არ მოუცია.

არ არის კარგი მოისურვო იყო ვინც არ ხარ,
მკრეხელობაა ქალისა და კაცის აღრევა,
რადგან მათ აქვთ ფიზიკური სხვადასხვაობა,
ცუდ შედეგს გვაძლევს ბუნებრივის გადაკეთება.

ნუ გეგონებათ

ნუ გეგონებათ
დიდი ქვეყნების რესურსები არის მდიდარი.
თუკი სიმდიდრით ზოგი წინ გვისწრებს,
ნუ გეგონებათ, გონებითა ვართ მათზე ნაკლები!

აზრს მოვუხმოთ

როცა ვერ ვაღწევთ სასურველ მიზანს,
პროექტებს ვადგენთ ბევრჯერ თავიდან
და უშედეგოდ გამოვდივართ ბრძოლის ველიდან
მაშინ აჯობებს აზრს მოვუხმოთ სხვების თავიდან!

რადგან

(უილიამ შექსპირის 66-ე სონეტის მსგავსად)

ბევრ ცუდის მნახველს სანატრელად ღირსება დამრჩა,
რადგან სიცრუე ბევრისათვის გახდა თვისება,
რადგან წინსვლისთვის არ წარმოებს ერთად მსჯელობა,
და ზოგი ცდილობს არ დამკვიდრდეს კეთილდღეობა,

რადგან სირცხვილად არ ითვლება სხვისი დასმენა.
ხელმოცარული ისევ ცდილობს პრეზიდენტობას,
შელახულია სინდისი და პატრიოტობა
და სურვილი აქვთ მიაღწიონ ქვეყნის დამხობას,

რადგან გახშირდა შემთხვები ქვეყნის ღალატის,
მშვიდობის დაცვას შემართებით არ ცდილობს ყველა,
დამნაშავე კეთილშობილს მორალს უკითხავს,
ერთობა არ გვაქვს, თითოკაცად დავდივართ ნელა.

ჯობს გარდავიქმნათ, ამ ქვეყნიდან წასვლას არ გირჩევთ,
რადგან არ ვარგა სამშობლოში ცოტა რომ დავჩეთ.

ფრთები შევისხათ

გავიმეორებ, რაც ბევრჯერ თქმულა,
სწავლა და ცოდნა ჩვენი მხსნელია,
ფრთები შევისხათ, შემდეგ გავფრინდეთ,
უფრთებოდ ფრენა დამღუპველია.

გზა დავულოცოთ სწორი გზით მსვლელებს

ცოცხალ არსების ორი სქესი ღმერთმა განსაზღვრა,
რითაც მყარდება თაობების ცვლათა წესრიგი,
ქალი და კაცი აღნაგობით განსხვავდებიან,
და მისი შეცვლა ხელოვნურად დამღუპელია.

უნდა ვეცადოთ, რომ დავიცვათ ტრადიციები,
და წინ აღვუდგეთ მავნე თვისებებს,
კარგის და ცუდის გარჩევა შევძლოთ,
გზა დავულოცოთ სწორი გზით მსვლელებს.

კეთილგანწყობა გვქონოდეს და შევისრულოთ მიზნები

ზოგს თვისებად აქვს ავი რომ თქვას სხვის ქმედებებზე,
თავის განზრახვას წარმოადგენს ქვეყნის მშვენებად,
ღვთის შვილები ვართ, უფლის გზას გავყვეთ,
და სიკეთის ქმნა ვაღიაროთ ქვეყნის შენებად.

გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანა და ვიყოთ მეგობრულები,
ნუ მივატოვებთ სამშობლოს, არ ვიყოთ სხვისი ხიზნები,
ვეცადოთ, მშვიდობა გვქონდეს, ნუ დავიყოფით მტრებადა,
კეთილგანწყობა გვქონოდეს და შევისრულოთ მიზნები.

ნუ განვუდგებით სამშობლოს!

ფარულად ნუ ვიმოქმედებთ,
გარემო შევქნათ ნათელი,
სიმართლეს ფარდა ავხადოთ,
ბნელში ავანთოთ სანთელი!

თუ ღირსებები არ დაგვყვა, რა ვქნათ?
უნდა ვეცადოთ, შევქნათ თავადა,
ნუ განვუდგებით სამშობლოს,
თორემ დავრჩებით ცალადა.

სიცოცხლე დროებითია,
მუდმივს ვერ გავხდით ძალადა,
გასაკეთებელს მომავალს
ნუ დავუტოვებთ ვალადა.

წერო

(იგავი)

ეს მოხდა ჩვენში ახლანდელ დროში,
ფრთოსნების გუნდი ცხოვრობდა ტყეში.
მათ აირჩიეს ლიდერად წერო,
უმრავლესობამ ხმა მისცა ჯგუფში.

წეროს მიემხრო ყვავი და ყანჩა,
ჩამოყალიბდა წრეები ტყეში,
აღარ მოსწონდათ ხელისუფლება,
პროტესტს გეგმავდნენ ფარულად ხევში.

ლიდერი ხშირად მოგზაურობდა,
კარგად გაიცნო ფრინველთ ზნე.
მეფედ გახდომა მოესურვილა
და თავის მოდგმას დაუგო მახე.

მორალი არის ლექსის ასეთი:
ბოროტი კარგად ვერ მოიქცევა,
ბევრი მცდელობის მიუხედავად
წერო არწივად ვერ გადიქცევა!

ფუტკრის ოჯახი უდედოდ ქრება

ბევრს აღარ სჯერა, რომ შედეგს გვაძლევს
ერთი პირისგან საქმის გაძღოლა,
ფუტკრის ოჯახი უდედოდ ქრება,
უმხედარმთავროდ ჯარს უჭირს ბრძოლა.

ბებერ წარსულში ყოველ მიწა-წყალს,
ჰყავდა პატრონი ანდა მფლობელი,
მდიდარ თავადის ადგილ-მამულში,
საქმიანობდა ბევრი მშრომელი.

ნუ მივატოვებთ მთებსა და ჭალებს,
სჯობს გავხდეთ მუდამ მასზე მზრუნველი,
უფალმა მოგვცა არსებობისთვის,
უნდა დაბრუნდეს მთაში მთიელი!

ჯობს დავამკვიდროთ კეთილგანწყობა

ნუ დავიყოფით კუთხით, წოდებით,
და მეგობრული გვქონდეს ერთობა,
სხვადასხვა აზრის შეჯერებიდან,
კარგად გამოდის შემოქმედება.

ჩვენი ღირსება დავიცვათ ყველგან,
სჯობს დავამკვიდროთ კეთილგანწყობა,
და ნუ დავანთებთ ისეთ კოცონებს,
მტრობად რომ იქცეს ურთიერთობა.

ჩვენი ღირსება დავიცვათ ყველგან!

ბუნებისაგან ნაბოძებს შორის,
აზროვნებაა დიდი ღირსება,
ბედნიერია ვისაც გამოსდის,
მისი გონებით საქმის კეთება.

ჩვენი ღირსება დავიცვათ ყველგან,
და არ ვაჩვენოთ უკულტურობა,
არაფერს გვარგებს ცუდათ მოქცევა,
დიდადა ფასობს კაცის ზრდილობა.

ველოდით, მაგრამ უცებ შევფერხდით,
დაბრკოლებების გაჩნდა კედელი,
მის დასანგრევად თავს ნუ გავწირავთ,
სხვა გზა მოვძებნოთ წინ წასასვლელი.

ნუ შევშინდებით!

ახალგაზრდობას უნდა მივცეთ მიმართულება
განავითაროს სასარგებლო გამოცდილება,
არ დაანგრიოს, რაც წარსულში ნაშენებია,
გამოიყენოს წინაპრების გამოცდილება.

და თუ არ ვიცით, უნდა ვისწავლოთ,
როგორ წარვმართოთ ჩვენი მსვლელობა,
სხვადასხვა ქვეყნის მიღწევებიდან,
გავიზიაროთ კარგი მცდელობა.

თუ შევფერხდებით, ნუ შევშინდებით,
გზა წარმატების ზოგჯერ გრძელია,
სურნელი ვარდი ეკლიანია,
მისი დაკრეფა სწრაფად ძნელია.

სხვას ხომ არა ვთხოვთ

ავტომანქანებს ვეღარ იტევს ქუჩა, გამზირი,
რესტორანებში არ ნელდება სიმღერის ხმები,

უმჯობესია, პროფესიას ვსწავლობდეთ გულით,
დასაქმებისკენ მისასვლელი რომ გვქონდეს გზები.

როცა ამბობენ, არ დამდგარა კეთილდღეობა,
რატომ ჩამოვრჩით, გარკვევა სურთ: ვისი ბრალია,
ჯობს დავადგინოთ მიზეზები სამართლიანად,
სხვას ხომ არა ვთხოვთ, რისი შექმნაც ჩვენი ვალია?

შენ, ჩემო წუთისოფელო

შენ, ჩემო წუთისოფელო,
რა უკითხავად გვაბერებ,
დიდხანს არ გვტოვებ ამქვეყნად
იმ ქვეყანაში გვისტუმრებ.

გაჩენისათვის მადლობა,
თუმც ბევრი ცუდიც კი ვნახე,
ზოგჯერ ისიც კი ვიფიქრე,
ვყოფილიყავი სხვა ვინმე.

რომ არ მენახა სიცრუე,
ორპირობა და ქიშპობა,
ლანძღვა-ძაგება, სიხარბე,
ქვეყნის დამხობის მცდელობა.

თუმცა განცდილი სიავით
არ შემიცვლია ბუნება,
ადამიანად დავრჩი და
და ამ გზის ვარჩიე მიყოლა.

ჩვენი ცხოვრება ამქვეყნად,
ბუნების საჩუქარია,
ვეცადოთ, ჩვენი სიცოცხლე,
გავხადოთ საამურია.

წინასიტყვაობა დაურთო

კოტე გურგენიძემ

GEORGIA'S AI STARTUP ECOSYSTEM: WHAT CAN IT LEARN FROM CHINA'S TECH GIANTS?

Introduction

As Artificial Intelligence is rapidly transforming industries globally, the Georgian startup ecosystem is beginning to adopt this technological evolution. Even though the country has made significant strides in areas like web development and cybersecurity, AI-driven innovations are still in their early stage. Some key factors that hinder Georgian startups are limited funding, a shortage of skilled professionals and a relatively small domestic market. Nevertheless, by studying the achievements of global tech giants in China, Georgia's AI sector can identify key strategies to accelerate its development.

China has emerged as a global AI leader, with companies like Alibaba, Baidu and Tencent dominating development in automation, machine learning, and big data analytics. This rapid progress is driven by a unique mixture of private-sector investments, government backing, and a massive digital economy that generates considerable amounts of data. These elements have enabled China to build an AI ecosystem that not only competes with but also in some areas outperforms the West.

This publication explores what Georgian AI startups can study from Chinese tech giants. It compares the AI environment of Georgia with China's innovative technological sector and discusses what steps Georgia needs to take in order to enhance its AI startup ecosystem.

Georgian AI Startup Ecosystem

The AI startup environment in Georgia is still in its early phase however it holds significant potential for expansion. In recent years, the nation has made efforts to establish itself as a growing power for technology and innovation, supported by government-led initiatives and a rising number of AI startups. Despite some progress, AI development in Georgia encounters several fundamental issues, including restricted funding, a limited number of tech talents, and the necessity of stronger cooperation between academia and industry.

One of the major forces of Georgia's technological progress is the Georgian Innovation and Technology Agency (GITA), a government organisation committed to promoting entrepreneurship and digital transformation. Through initiatives like the Matching Grants Program, GITA has assisted local startups in securing funding to develop AI-driven solutions in fields such as finance and healthcare. Furthermore, its partnership with international organizations has provided Georgian entrepreneurs with access to global markets and state-of-the-art technologies.

To deep-dive into the AI technologies used by Georgian AI startups Machine Learning seems to be dominant with a total of 12 cases of utilization, highlighting the enhancement of decision-making and alignment with the industry trends. The second most used AI technology with 4 usages is Natural Language Processing, outlining the necessity of human language understanding. As regards other AI technologies, there is only one recorded employment of Robotic Process Automation and zero presence of Computer Vision. The overall usage of Artificial Intelligence technologies in Georgian startups emphasises the initial stage of the Georgian AI environment.

The great potential of AI-driven solutions in Georgia is backed by statistics. Between 2018 and 2020 AI startups were 10% of Georgia Innovation and Technology Agency's Startup Matching Grants winners. This number further surged from 2021 to 2023, where 13% of winners were AI-based startups.

Overall, the usage of machine learning and natural language processing in Georgian startups demonstrates the country's vast progress in Artificial Intelligence Technologies. In addition, the great variety of AI startups, as well as the growing statistics of grant-winning AI startups clarify the enhancing Georgian AI ecosystem.

China's AI Startup Ecosystem

China's dominance in AI has grown rapidly, with its top AI startups, such as Deepseek, Zipu AI, Moonshot AI, 01.AI, and Alibaba's QwQ-32B leading advancements in cutting-edge artificial intelligence technologies. In the past decade, AI has become a national priority, with the Chinese government investing billions into research, infrastructural utilities, and talent development to speed up the progress. The one great advantage of Chinese AI startups is that unlike many Western countries, where AI growth is led by private companies, China's AI sector benefits from a strategic partnership between the government, corporations, and academia. This synergy has enabled China to succeed in state-of-the-art AI technologies and affect the international market.

The clear proof of China's advanced AI ecosystem is its well-known AI startup Deepseek. Established by Liang Wenfeng, DeepSeek has swiftly deployed its cost-efficient AI inference technology across multiple sectors in China and has earned recognition worldwide. The company's R1 model stands as a strong competitor to leading AI systems like OpenAI's ChatGPT, even though it functions at significantly lower costs. In addition, prioritizing research over short-term profits allows DeepSeek to set itself apart from many of its Silicon Valley counterparts, emphasizing innovation over immediate revenues.

Another successful Chinese AI startup is Zipu AI which originates as a spinoff from Tsinghua University and has established itself as a key player in China's AI industry. This leading generative AI startup is recognized as the largest in terms of workforce, with 800 employees, and among the highest-valued, reaching a $3 billion valuation as of May 2024. Both founders, professors Tang Jie and Li Juanzi, were part of the university's Knowledge Engineering Group, a research lab dedicated to advancing knowledge engineering theories, methodologies, and applications in networked environments. The company has attracted major investments from notable tech investors and state-owned enterprises, emphasising strong backing from the government.

One more of China's great startups is Moonshot AI, widely recognized for creating Kimi, China's second-most-popular AI chatbot, which has attracted over 13 million users. The firm was launched in 2023, Kimi stands out for its ability to handle input lengths exceeding 200,000 characters, making it especially loved by students and professionals dealing with large volumes of text. Additionally, the Moonshot is supported by big tech companies, such as Alibaba and Tencent, highlighting the country's supportive AI startup ecosystem.

Therefore, the nation's emerged AI startups, as well as the collaborative efforts of governments, academies and businesses to push boundaries in AI innovation. All of these make the country a global AI powerhouse and position it as an example for other nations in the AI ecosystem.

Lessons for Georgia's AI Startups from Chinese Tech Giants

China's achievements in artificial intelligence are not just the result of technological progress but a well-coordinated ecosystem supported by the government, significant corporate investments, considerable talents, and huge data availability. Even though Georgia's AI environment operates on a much smaller scale, it can still learn valuable lessons from China's approach.

China's leadership in AI can be related to the strong cooperation between the government, top universities, and main technology companies. This partnership has driven rapid progress in AI research, large-scale implementation, and commercialization. For Georgia's AI startup environment to grow, a similar strategy is pivotal. By encouraging connections between government agencies, academic institutions, and private startups Georgia can establish a nurturing AI ecosystem. For this reason, initiatives such as state-supported AI research, industry-academia cooperation, and dedicated sponsoring for AI talent development should be introduced. Consequently, this initiative would help to bridge the gap between research and practical applications, accelerating the growth of Georgia's AI industry.

China's swift AI progress has been driven by its access to vast amounts of data and state-of-the-art infrastructure. To take China's AI landscape as an example Georgia needs to expand AI infrastructure and increase data accessibility. This can be achieved by funding data-sharing platforms, providing available datasets, and expanding cloud computing services. In addition, public-private collaboration can further encourage this growth by supporting AI research, establishing national AI computing centres, and equipping startups with the necessary resources to enhance competitive AI solutions.

Moreover, the Georgian government should facilitate AI commercialisation and assist AI startups to expand their market. Since China's AI startups have flourished by expanding globally, Georgia can achieve success with the same strategy as well. This can be achieved by collaborating with international AI companies, using government-supported trade programs, and focusing on specialized AI applications where Georgia can provide distinctive value. As a result, Georgian AI startups can attract foreign investment, expand their market presence, and secure a place in the international AI ecosystem.

Overall, Georgia has great potential to develop a nurturing AI startup ecosystem by learning from China's success and adopting its approach. Enhancing cooperation among the government, academia, and industry can stimulate innovation, while investments in AI infrastructure and improved data accessibility provide significant opportunities for growth. Moreover, promoting AI commercialization and encouraging global expansion can enable Georgian startups to grow beyond domestic markets and compete internationally. By implementing these strategies from China, Georgia can establish itself as a rising AI hub, fostering technological progress and driving economic development in the region.

Bibliography

Tsotne Zhghenti, Vakhtang Chkareuli, and Mariam Khatiashvili-Gurgenidze. *AI Startup Ecosystem in Georgia*. *Digital Ecosystem Digest*, Winter Report 2024. Business and Technology University, 2024. https://btu.edu.ge/wp-content/uploads/2024/03/Winter-2024-Digest-ENG-1.pdf.

Forbes. "Georgian Startups Rankings with the Volume of Attracted Investments." October 5, 2020. Accessed [date]. https://forbes.ge/georgian-startups-rankings-with-the-volume-of-attracted-investments/

Stanford. "Government Venture Capital and AI Development in China." December 1, 2024. Stanford Center on China's Economy and Institutions. Accessed [date]. https://sccei.fsi.stanford.edu/china-briefs/government-venture-capital-and-ai-development-china

Georgian Innovation and Technology Agency (GITA). "GITA Matching Grants Program." August 5, 2021. Accessed [date]. https://gita.gov.ge/en/news/twenty-winner-startups-of-the-innovation-agency-s-matching-grants-program-4cIZDZ-pB8

Chen, Caiwei. "Four Chinese AI Startups to Watch Beyond DeepSeek." MIT Technology Review, February 4, 2025. Accessed [date]. https://www.technologyreview.com/2025/02/04/1110942/four-chinese-ai-startups-deepseek/

Omaar, Hodan. "How Innovative Is China in AI?" Information Technology and Innovation Foundation, August 26, 2024. Accessed [date]. https://itif.org/publications/2024/08/26/how-innovative-is-china-in-ai/

Author of the article:
Ekaterine Gurgenidze

მთვარისა ზეინკლიშვილი

გაზაფხული მოდის

მოდის გაზაფხული მთებიდან,
ენძელებითა და იებით,
ციდან გაზაფხული მოდის,
ცხრათვალა მზის თბილი სხივებით.

ირთვება სამყარო საოცრად,
მწვანე და ჭრელა-ჭრელა მძივებით,
გულები, სულები გვევსება
იმედით, იმედით, იმედით.

იცვლება განწყობა ხალისით,
თითქოს სამოთხესთან მივედით,
ცოცხლდება მთვლემარე ბუნება,
უკეთეს მომავლის იმედით.

მოდის გაზაფხული გულიდან,
სიცოცხლის წყურვილის წვეთებით,
არ ვართ შებორკილი სიცივის
და უიმედობის ღვედებით.

მრავალჯერ დავესწროთ გაზაფხულს,
ჩვენთვის რომ სიცოცხლეს იმეტებს,
სიახლეს, ძალ-- ღონეს გვჩუქნის და
სიყვარულს, სიხარულს, იმედებს.

უფლისწიხეზე

უფლისციხეზე ბუნება ხარობს,
მწვანედ გაუდის ბიბინი მინდვრებს,
მთა ერწყმის მთასა, ველი შეჰხარის,
ყვავილით უქსოვს მთის ძირებს წინდებს.

მირონცხებული ეს მყუდროება,
ანგელოზების არის სავანე,
აქ სიო მეფობს, მზე კი დედოფლობს,
ეკალიც ცდილობს არ იყოს მავნე.

აქ ნაკურთხია კუთხე კუნჭული,
გუმბათზე სხდანან სერაფიმები,
ლოცვის მომგვრელი სიჩუმე მეფობს,
-„უფალო, ფრთებით თავს ეფინები"!

ჰაერში საკმეველის სუნია,
მიაქვს და მოაქვს სიოს სურნელი,
აქ ყველაფერი სამკურნალოა,
კაცს უქარწყლდება დარდი მჭმუნველი.

უფლისციხეზე სამოთხე სუფევს,
მშვიდობის მტრედი დაჰყურებს მინდვრებს,
მთას ერწყმის ციხე, ველი შეჰხარის,
გალობა ისმის, როს დაიბინდებს.

დედა–შვილობა

შენი წყალობით, დედა,
მე აღმოვცენდი შენში.
წლები იზრუნე ჩემზე,
ქალი აღზარდე ჩემში.

მე შემალიე წლები,
ვარ გამართული წელში,
შენ კი შვილმა და წლებმა,
ბოლოს მოგხარა წელში.

შემომჭკნარ შენსა მანტიას,
ვერას დააკლებს თქენი,
წვიმაც კი ჩემთვის გინდა,
რომ მომაწოდო ფესვში.

მე კი მივიწევ მაღლა,
სიცოცხლე ხარობს წვერში,
შენი სისხლით ვარ სავსე,
ფესვში, ტანში თუ ფრთებში.

შენს სურნელებას ვაფრქვევ,
შენს ჩრდილს დავყურებ მზეში,
მე ვხარობ, შენ კი დაჭკნი,
ჩაგაგდე მე ამ დღეში.

მე გაგიმართლებ იმედს,
სხივებს აგინთებ თვალში,
შენს ადგილს მეც დავიკავებ,
დრო მიდის წლების თვლაში.

საუკეთესო აღმზრდელი – ბავშვის მეორე მშობელი

ბავშვი უნდა იზრდებოდეს დიდი სიყვარულით და მზრუნველობით – ასე წერია ბავშვთა უფლებების კონვენციაში და ამ პრინციპით ხელმძღვანელობენ თბილისის 27-ე ბაგა-ბაღში, რომელიც დედაქალაქის ერთ-ერთი გამორჩეული საბავშვო დაწესებულებაა. აქ პატარებისთვის შექმნილია მშვიდი, კეთილგანწყობილი და ჯანსაღი ატმოსფერო. აღმზრდელები კი, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან დაკისრებულ მოვალეობას, რამეთუ, მომავალი თაობის ბედი აბარიათ და ძალ-ღონეს არ იშურებენ მათ საკეთილდღეოდ. ბაგა-ბაღში მართლაც რომ ბევრი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელმაც მოგვხიბლა თავისი ესთეტიკური გარემოთი, ინფრასტრუქტურით, ბავშვებისადმი დედობრივი მზრუნველობით და მაღალკვალიფიციური კოლექტივით. მათი წარმატება სწორედ კარგი ხელმძღვანელის დამსახურებაა. აქ პატარების უსაფრთხოებას, ჰიგიენას და კვებას უდიდესი ყურადღება ექცევა.

დირექტორის **თეონა ჯინჭარაძის** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ბაღში წარმატებით დაინერგა „ჰასპის პროგრამა“, რომელიც ყველა წესების დაცვით ხორციელდება. ბაგა-ბაღების სააგენტოს მხარდაჭერით, საბავშვო დაწესებულებაში მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა და განახლდა ყველა საჭირო ინვენტარი, სათამაშოები და თემატური სახელმძღვანელოები.

ბაგა-ბაღში სრულყოფილად და საინტერესოდ მიმდინარეობს სასწავლო- სააღმზრდელო პროცესი. ნაყოფიერად ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**. მოგეხსენებათ, სკოლამდელი ასაკი უმნიშვნელოვანესი პერიოდია ბავშვის განვითარებისთვის, სადაც ის ძირითადი უნარები ყალიბდება, რომლებიც შემდეგ მთელი ცხოვრება გაჰყვებათ. სწორედ, უნარების უკეთ განვითარებისთვის, ბაღში ტარდება აქტივობები, რომელიც შეიცავს ხელოვნებაზე დაფუძნებულ კრეატიულ-განმავითარებელ და სასწავლო მეთოდებს, რათა კიდევ უფრო ინტერაქტიური და სახალისო გახდეს სასწავლო პროცესი. აქტივობები ითვალისწინებს ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, წიგნიერების, მათემატიკური და სხვა საჭირო უნარების განვითარებას.

თეონა ჯინჭარაძე: 18 თებერვალს, ჩვენს ბაგა-ბაღში, წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე** და თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს დირექტორი **კახა აბულაძე**. სასკოლო მზაობის ჯგუფებმა და აღმზრდელებმა ყველასთვის საყვარელი ხალხური ზღაპარი „**ჭინჭრაქა**“, ძმები გრიმების „**ბრემენელი მუსიკოსები**“ გააცოცხლეს და მათი როლები მოირგეს. საინტერესო სანახაობით არამხოლოდ მშობლები არამედ, მოწვეული სტუმრებიც მოიხიბლნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ შემოქმედი დირექტორის და ერთ მუშტად შეკრული კოლექტივის მუხლჩაუხრელი შრომის შედეგად, ბაღი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. **თეონა ჯინჭარაძის** თაოსნობით, ბაგა-ბაღში ლამაზი და საინტერესო ცხოვრება ჩქეფს, სადაც იზრდებიან ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილები. აღმზრდელები კი თავს არ ზოგავენ, საუკეთესო აღმზრდელი ხომ ბავშვის მეორე მშობელია.

მზია გოგოძე

113-ე ბაგა-ბაღი

სიყვარულით შექმნილი გარემო

ბავშვის აღზრდისა და განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ხარისხიანი სააღმზრდელო პროცესის სწორად წარმართვა, რომელიც ზედმიწევნით კარგად ხორციელდება **თბილისის 113-ე** ბაგა-ბაღში. ბაღი 2017 წელს გაიხსნა და გახსნის დღიდან, მისი დირექტორი არის თავისი საქმის პროფესიონალი და საუკეთესეო მენეჯერი, ქალბატონი **ნინო ჭელიძე**. თანამედროვე სტანდარტებით აგებული შენობა აღჭურვილია პანდუსებით და ლიფტით, ეზო კეთილმოწყობილია სხვადასხვა განმავითარებელი და გასართობი სათამაშოებითა და ატრაქციონებით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების ძირითადი პრინციპების დანერგვაში, საკუთარი წვლილი შეაქვს ბაგა-ბაღის მთელ კოლექტივს, დირექტორის მოადგილე **გიორგი მჭედლიშვილს,** სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელ **თამარ აბაშიძეს,** საქმისმწარმოებელ **ქეთევან ბარათაშვილს**, ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორებს – **ნანა ჯინჭარაძესა** და **ირმა ასანიძეს;**

სასწავლო წლის დასაწყისშივე, განახლდა მულტიდისციპლინარული გუნდის – მეთოდისტები: **ჯუნა ფოლადიშვილი** და **ნინო კოპაძე,** ფსიქოლოგი **ლია გეჯაძე**, ლოგოპედი **ინგა თოდუა,** სპეც. პედაგოგები: **თამარ პირველი, ნათია მინდიაშვილი, ხათუნა კერვალიშვილი** და **სოფო კარბელაშვილი** – სამუშაო პროცესი, შემუშავდა ახალი გეგმა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისთვის და მოეწყო ადაპტირებული გარემო დარბაზში.

ბაგა-ბაღში 10 სააღმზრდელო ჯგუფია. ახალი მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა ბავშვის შესაძლებლობიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, აღმზრდელმა დანერგოს, რა როგორ ასწავლოს, რასაც სწორად წარმართავენ აღმზრდელები: **ელისო შუბითიძე, თამილა ნოზაძე, ირინა ბზისშვილი, ქეთევან აკოფაშვილი, ირმა კოსტავა, მარინა სიჭინავა, ნინო კაპანაძე, როენა ჩხეიძე, ლალი ასპანაძე, შორენა მარგალიტაძე, თამარ ლავრელაშვილი, შორენა ქარქაშაძე, ხათუნა გვალია, მანანა ლიპარიშვილი, ქეთევან კობაური, ირმა ბასილაია, ლამარა ლიპარტიანი, ლელა რატიანი, მედეა გიგაური;**

სააღმზრდელო პროცესში აქტიურად არიან ჩართულები აღმზრდელის თანაშემწეები: **მაია ფოფხაძე-დავითულიანი, თამარ მეტრეველი, დიანა თიღილური, ნინო ბელადიძე, ინგა აბულაძე, ციცინო კვაბზირიძე, მაია გელაშვილი, ანა ვარდანაშვილი, ეკატერინე გაზდელიანი, ლია კაჩმაზოვი, მაია რაზმაძე, ეთერ ხარაზიშვილი, მარინა ჯაღუმიძე, მაია რიჟამაძე, ნინო ოშხერელი, მარინა ნასყიდაშვილი, თათია მამუკაძე, მაკა სალაძე, ეკატერინე ლიპარტელიანი, თამილა ციმაკურიძე, თამარ ბიგვავა, ნათია მიხელიძე, მარინა ბექელაძე;**

სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ სამზარეულოში პატარებისთვის უგემრიელეს კერძებს ამზადებენ: **მარინა კბილაშვილი, ლენა ბურაშვილი, მარინა ხიზანაშვილი, ლალი კოჩივარი, ლელა ოდიკაძე, ეთერ ნაბიჯაშვილი.**

სუფთა და დაცულ გარემოზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **ჟანა თავშავაძე, ლალი ხიდაშელი, ხათუნა თათარაშვილი, მარინა ადუაშვილი, მადონა გურგენიძე, მანანა მღებრიშვილი, მეგი გეგეშიძე, მაია ყურაშვილი, ირინა არეფიევა, ლია ბარნაბიშვილი, ნანა ლიპარიშვილი, ანზორ კაკუბავა, მალხაზ ლომსაძე, იდაიარდ გუსეინოვი, მიტუშა მაჭარაშვილი, ლამარა გუსეინოვა.**

ბაგა-ბაღის კოლექტივი 2024-25 სასწავლო წლისათვის საგანგებოდ მოემზადა. პირველივე შეხვედრის დროს, ბაღის შინაგანაწესის მიხედვით, განიხილეს ბავშვების მისაღებად და ადაპტაციასთან დაკავშირებული ყველა საჭირო საკითხი. მშობლების ინტერესიდან გამომდინარე, დაიგეგმა სასწავლო პროცესში მშობლის აქტიური ჩართულობისთვის, **„მშობლის საათი,“** რომელიც მოიაზრებს მშობლის და აღმზრდელის დაგეგმილ სამუშაო პროცესს.

წლის განმავლობაში ეხმაურებიან საერთაშორისო დღესასწაულებს. ემზადებიან დედამიწის დღესთან დაკავშირებული აქტივობებისთვის და წლის ბოლოს, მშობლების ჩართულობით, გამოსაშვები ღონისძიება გაიმართება.

ქალბატონი ნინოს დამსახურებაა, რომ ეს ერთ მუშტად შეკრული კოლექტივი, დაუღალავი შრომითა და სიყვარულით, პატარებისთვის ქმნის მოწესრიგებულ, უსაფრთხო და პოზიტიურ გარემოს.

ნათია გუგუნავა

აი, როგორ აღიქვამდნენ გაზაფხულს ჩვენი დიდი წინაპრები

ილია ჭავჭავაძე

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები?

გიორგი ლეონიძე

გაზაფხული

რომელ მერანზე მოფრინდი,
რომელ მქროლავი რაშითა?
“ლილეოს” ქუხილთა ხმებში,
ნიაღვარების ტაშითა!

ვინ თქვა, სინაზით მოხვალ,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიტან!

სალამი, ასჯერ სალამი!
შენ, გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ,
ხმატკბილად
წყარომ რომ დაიწკრიალოს...

მე გულს დავლეწავ,
ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს!
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!



ვაჟა-ფშაველა

გაზაფხულს ია ამოდის

(სიმღერა)

გაზაფხულს ია ამოდის,
სთველში ირემი ჰყვირისო, –
ეს ჩემი გული ტიალი
ისევ და ისევ სტირისო.

ღამით მინახავს მთის პირად
ბუ გულსაკლავად ჰკიოდეს;
ნეტავ, თუ კიდევ სხვასაცა
ჩემებრივ გული სტკიოდეს?!

მითამ სუყველას ბოლო აქვს,
ზღვანიც-კი დაშრებიანო;
მაშ ჩემის გულის დამჭრელნი
რატომ არ გასწყდებიანო?!

ეს გაზაფხულიც მოვიდა

(სიმღერა)

ეს გაზაფხულიც მოვიდა,
აგერ ჩამოშრნენ მთანია,
საპირიქითოდ გაიხსნენ
თოვლით შაკრულნი გზანია.

აღელვებულა არაგვი,
ფშავ-ხევსურეთის წყალია,
მოხუის, მთა-კლდეთ შასტირის,
როგორც ძმის კუბოს ქალია.

იაც რომ ამოჩენილა,
ბრიყვის ჩადუნას რძალია,
ეკლებში თავსა მიმალავს,
ბუნების ეშხით მთვრალია.

სუყველა დამშვენებულა,
მაღლა ცა, დაბლა ბარია.
მარტო ეს გული საწყალი
წინანდებულად მკვდარია.

გალაკტიონ ტაბიძე

ადრიანი გაზაფხული

როგორც შეთქმულებს,
ჩვენ არ გვაშინებს,
რომ არ ეტყობათ
რტოებს რტოობა.

სულს დიდი ხნიდან აშალაშინებს
სხვა მარტოობა.
გაზაფხულია მაინც ასეთი,
კეთილი, როგორც კარგი ხარება,
ახალგაზრდობით მოკისკასეთი
ახარხარება.

მალე გადნება ყინული ლოდის,
მტკვარი ღრიალებს ტივების ტევით.
ამოდის მთვარე... ჰეი, ვინ მოდის?
ხელები ზევით!

ატმის ყვავილები

ატმის ხე იდგა თაიგულივით,
იქ მას მილევით უთრთოდა სული!
შორით მოსული გაზაფხულ სხივით
და ნამთა მძივით გარემოცული.

ატმის ხე იდგა, ვით ნაზი ქალი,
ვით დედოფალი უცხო მხარეში:
სინარნარეში სწვავდა მზის ძალი
და გრძნობათ ალი – სიმწუხარეში.

ატმის ხე შლილი ოცნებას ჰგავდა,
როცა ღელავდა მზით აღჭურვილი,
მე მისი ჩრდილი ხშირად მხიბლავდა
და ხშირად მწვავდა ტრფობის სურ-
ვილი.

მაგრამ ეწვია ატმის ხეს ქარი
და ფრთა მედგარი შემოახვია,
ეხლაც ატყვია ხეს განაბზარი,
ყვავილთა ღვარი რომ დააფრქვია.

მადლი ხელოვნებისა

მუსიკა — გზად და ხიდად

სათანადო დარგის ფსიქოლოგთა მტკიცებით, უცნობ ადამიანთან პირველი შეხვედრისას მასზე წარმოდგენა სულ რაღაც 30 წამში გექმნება და შემდეგ, ძირითადად, უცვლელი რჩება.

შოთა შანიძის სახელობის ხელოვნების მე-20 სკოლის დირექტორთან, ქალბატონ **ალა ლაფერაშვილთან** შეხვედრისას მტკიცე წარმოდგენა შემექმნა – ადამიანი თავის ადგილზე.

ასეა: საცა გინდა იყო, რა საქმესაც უნდა ადგე, მოგკიდებს უხილავ ხელს შენი ანგელოზი და ზუსტად იქ მიგიყვანს, იმ საქმეზე დაგაყენებს, რისთვისაც მოგავლინა ამქვეყნად მამაზეციერმა.

ქალბატონ ალას 1968 წელს მოჰკიდა ხელი მისმა ანგელოზმა და **ვანო სარაჯიშვილის** სახელობის კონსერვატორიაში მიიყვანა, სადაც დიდებული მუსიკოსის, პედაგოგის ბატონ **შოთა შანიძის** (ვისი სახელობისაც გახლავთ ხელოვნების ეს სკოლა) ხელმძღვანელობით წარმატებით დაეუფლა ვიოლინოზე დაკვრის რთულ ხელოვნებას. პედაგოგიურ მოღვაწეობას კი მანამდე, 1964 წლიდან შეუდგა. ამ სკოლაში კი 1977 წლიდანაა. ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ – სასწავლო ნაწილის გამგედ, 1995 წლიდან კი დირექტორია. ანუ, ქალბატონმა ალამ ყველა საფეხური გაიარა – პედაგოგიდან – დირექტორამდე. ამიტომ გამომწვლილვით უწყის ეს სისტემა და სათანადოდ ირჯება კიდეც. თუმცა, ის, უპირველესად, კვლავ და კვლავ პედაგოგია და უმდიდრეს ცოდნასა და გამოცდილებას ყმაწვილების მუსიკალურ განათლებას ახმარს, რისი ერთი დასტური ისიცაა, რომ 2010 წელს მას რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის წოდება მიენიჭა.

ფერი-ფერსაო, ნათქვამია და დირექტორს მხარში უდგას, პედაგოგებთან შემოქმედებითად, კოლეგიალურად მუშაობს სასწავლო ნაწილის გამგე, ქალბატონი **ხათუნა გუგულაშვილი.**

ხელოვნების მე-20 სკოლა უნიკალური, ერთადერთია საქართველოში. მაინც რით არის იგი ასეთი უნიკალური და ერთადერთი? იგი სპეციალიზებული საორკესტრო სკოლაა, სიმებიან და ჩასაბერ ინსტრუმენტებს აუფლებს ყმაწვილებს. სახელდობრ: ვიოლონო, ჩელო, გიტარა, ფლეიტა, კლარნეტი, საყვირი, ვალტორნა და დასარტყამი ინსტრუმენტები. რადგანაც სკოლა საორკესტროა, ცხადია, ორკესტრებიც ექნება და აქვს კიდეც ორი – კამერული, ანუ სიმებიანი და ჩასაბერი ინსტრუმენტების. თაობები იცვლება, მაგრამ ორკესტრები მუდმივადაა. სიმებიანი ორკესტრის დირიჟორი და ხელმძღვანელი ბატონი **სერგო ეროიანია;** ჩასაბერი ინსტრუმენტებისა – ბატონი **სერგო ტყაბლაძე**; მევიოლინეთა ანსამბლებს – ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით – ქალბატონი **ლალი დაბრუნდაშვილი** ხელმძღვანელობს. აქვე აღვნიშნავთ, რომ, თუმცა სკოლას საგუნდო განყოფილება არა აქვს, მისი მომღერლების გუნდი კონცერტებსა და ფესტივალებში ხშირად სჯობნის იმ სკოლებს, ვისაც შესატყვისი განყოფილებები აქვს.

თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები განიზიდება, განგების ძალით, ცხოვრებაში ერთი მისწრაფებით, ერთი მიზნით გამსჭვალული ადამიანები მიიზიდებიან, დუღაბდებიან და ასე ერთობლივად მიილტვიან საერთო მიზნებისკენ.

სწორედ ასეა შედუღაბებული მე-20 სკოლის 40-მდე პედაგოგი და ერთ სულ და ერთ ხორც იღვწის ყმაწვილების მუსიკალურად აღზრდისათვის. ამის დასტურია მრავალ კონკურსსა თუ ფესტივალში გამარჯვებები და ლაურიატობა. თუნდაც **მარინე იაშვილის** სახელობის პირველ საერთაშორისო კონკურსში ორი მოსწავლის ლაურეატობა რად ღირს. ამას მრავალი კონკურს-ფესტივალის ლაურეატები: **ელენე ბაშიშვილი, სესილი ქართველიშვილი, ნინი მაჭარაშვილი, თამარ მარუაშვილი, კონსტანტინე ჩაჩიბაია, საბა სალია** (ლაურეატი გაცილებით მეტია) დავურთოთ და ისიც აღვნიშნოთ, რომ ვოკალის განყოფილების მოსწავლე **გაბრიელ ბოდაველი** საბავშვო მუსიკალურ პროექტ „რანინას“ საუკეთესოთა ათეულშია. სკოლის კურსდამთავრებულები **ვახტანგ კახიძის, ნიკოლოზ მერმანიშვილის,** ოპერის სიმფონიური ორკესტრების წარმატებული წევრები არიან, სიმფონიტაში – ახალგაზრდულ კამერულ ორკესტრში ავლენენ თავის ოსტატობას; მუშაობენ **ვანო სარაჯიშვილის** სახელობის კონსერვატორიაში, ნიჭიერთა ათწლედში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანასა და აშშ-ში.

ყოველივე ამის მიღმა კი პედაგოგთა ყოველდღიური დაუცხრომელი, შემოქმედებითი შრომა დგას. უშურველად გასცემენ ცოდნასა და გამოცდილებას, რათა მუსიკის ღვთაებრივ სამყაროს აზიარონ ყმაწვილები, სული გაუფაქიზონ და ატარონ კლასიკური მუსიკის ჯადოსნურ სამყაროში, რომ მუსიკა გზად და ხიდად ჰქონდეთ.

და ხომ კარგია, რომ თბილისში, სახელდობრ, გლდანში ხელოვნების ასეთი დიდებული სკოლა გვაქვს.

მარიამ ხატიაშვილი – გურგენიძე

202-ე ბაგა-ბაღი

ყოველთვის მოწინავე

ლამაზად და ესთეტურად გაფორმებული ეზო, თვალისმომჭრელად მიმზიდველი შენობის შიდა სივრცე და ინტერიერი, რაც შეეხება სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, იგი ყოველთვის მაღალ დონეზეა – ეს თბილისის 202-ე ბაგა-ბაღია – უბნის ბავშვებისთვის ყველაზე საყვარელი დაწესებულება. დირექტორი **ლალი ოთარაშვილი** შესანიშნავი მენეჯერი და გამორჩეულიპიროვნებაა, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სკოლამდელი აღზრდის სფეროში. საბავშვო ბაღის მოამაგე, თაობების აღმზრდელი ქალბატონი სანიმუშო დედა და ბებიაა. ბაგა-ბაღის წარმატებასა და სიახლებზე, თავად ქალბატონი ლალი მოგვითხრობს.

ლალი ოთარაშვილი: 202-ე ბაგა-ბაღში, სასწავლო წელი საინტერესოდ და შინაარსიანად დაიწყო. ჯგუფები, ეზო-გარემო, მიმდებარე ტერიტორია, ყველაფერი მორთული და გალამაზებული იყო სხვადასხვა ატრიბუტებით. მშობლებსა და პატარებს ყველა თანამშრომელი მხიარულად ეგებებოდა, ჭიშკართან ცეკვა-თამაშით **„მიკი და მინი მაუსი“** ხვდებოდათ. დიდი ზეიმი იყო, ისმოდა მუსიკის ჰანგები, საბავშვო სიმღერები, სრულდებოდა ცეკვები და აერობიკა. მოგეხსენებათ, ბაგა-ბაღის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი მუდამ განახლებადია, განსაკუთრებით კი, ამ სასწავლო წელს. რამეთუ, ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით, უკვე გავიარეთ ავტორიზაციის პირველი ეტაპი (თვითშეფასება). საბავშვო ბაღის გარე და შიდა სივრცე მოწესრიგებულია. ინფრასტრუქტურის განახლებაზე კი, მუდამ გვეხმარება ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო და მისი ხელმძღვანელი **კახა აბულაძე**. შეიცვალა ეზოს დანადგარები, ფანჩატურები და სათამაშოები. მეტად სასიამოვნო და დიდი მოტივაციის მომცემი იყო სკოლამდელი აღზრდის თანამშრომლებისათვის ხელფასების მომატება, ამით ნამდვილად დიდი სტიმული მოგვეცა და კიდევ მეტის მოლოდინიც გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროცესშიც სიახლეებია და ბაგა-ბაღი ახალი სააღმზრდელო პროგრამებით საქმიანობს. განახლდა თემატური სახელმძღვანელოები: **„ადრეული განათლების კურიკულუმი (თამაში)“,** პირველი და მეორე ნაწილი, **„რჩევები 6 წლამდე ასაკის ბავშვების მშობლებს“,** ასევე **„სასწავლო-სააღმზრდელო“** პროგრამა. ყველა ჯგუფში ტარდება საინტერესო აქტივობები, თამაშები, სპორტული შეჯიბრებები. ყოველწლიურად იმართება საშემოდგომო, საახალწლო და მუსიკალური აქტივობები. შემოქმედებითი ღონისძიებების მომზადებაში ჩართულები არიან მშობლებიც, ისინი ზრუნავენ საზეიმო გაფორმებაზე, აღსაზრდელთა კოსტუმებზე, საინტერესო შეხვედრებზე.

წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის პროგრამა“**, სადაც დამამთავრებელი ჯგუფების აღსაზრდელები და მათი მშობლები მონაწილეობენ ყველა აქტივობაში. შაბათ-კვირას ტარდება გასვლითი ექსკურსიები და პატარები მიჰყავთ თბილისის სხვადასხვა ისტორიულ ადგილებში, კერძოდ, ბოტანიკურ ბაღში, ხელოვნების მუზეუმში, ორბელიანების განახლებულ მოედანზე, კონტაქტურ ზოოპარკში და ა.შ.

პატარების კეთილდღეობაზე, დირექტორთან ერთად, იღვწის დირექტორის მოადგილე **ნინო ბერიძე,** რომელიც ბაგა-ბაღის ყოველ კუთხე-კუნჭულს ამოწმებს და აღამაზებს. სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი ყოველთვის მაღალ დონეზეა, მიუხედავად რთული ეპიდემიური სიტუაციებისა, აქ არ შეფერხებულა არცერთი ჯგუფის აქტივობები და სხვადასხვა თამაშ-შეჯიბრებები. ამ პროცესს ენერგიულად უძღვება გამოცდილი, სერთიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი **ქეთევან ფერაძე**. იგი წლებია, ლალი ოთარაშვილთან ერთად, თავს არ ზოგავს აღსაზრდელებისთვის კომფორტული გარემოს შექმნისთვის და შესანიშნავად უძღვება აღმზრდელების, თანაშემწეების საქმიანობას და ზრუნავს მათ დახელოვნებაზე. ამიტომაც, ბაღის წარმატებაში დიდი წვლილი შეაქვთ აღმზრდელებს: **ცისანა დათუნაშვილს, სვეტლანა არუთინიანს, ჟუჟუნა ვარდოსანიძეს, მარინე ორველაშვილს, მანანა ლებანიძეს, ნინო ნავროზაშვილს, ნანა რიჟამაძეს, თამარ ნათობიძეს, ნანა გელენიძეს, მადლენა ბოგვერაძეს.** მათ გვერდით უდგანან აღმზრდელის თანაშემწეები : **ნანა კოშაძე, რეგინა კაზაროვა, ლეილა სიხუაშვილი, თინა გიორგაშვილი, შუქია არღვლიანი, ლამარა დათუნაშვილი, ლილი გრძელიძე, ანაიდა ბალოიანცი, ეთერ დვალიშვილი.** აღსაზრდელთა წარმატებისთვის, განსაკუთრებით ზრუნავს მულტიდისციპლინარული გუნდი: ფსიქოლოგი **მაკა ბაქრაძე**, ლოგოპედები – **ნინო ჩიჩუა** და **ქეთვან ჩინჩალაძე**, სპეც. მასწავლებლები – **მაკა ლევიძე** და **ნინო გელდიაშვილი**. ეს შესანიშნავი გუნდი აქტიურად საქმიანობს და კარგ შედეგებსაც აღწევენ.

საბავშვო ბაღში პატარების შემოქმედებითი უნარის განვითარებას დიდი ყურადღებას აქცევენ. აღსაზრდელთა ესთეტიკურ, მუსიკალურ თუ ქორეოგრაფიულ განათლებაზე ზრუნავენ – **ნატო შულაია, ოლიკო ბერძენიშვილი** და **მარი მამალაძე**. აღსაზრდელთა და თანამშრომლების ჯანმრთელობას, დიდ ყურადღებას აქცევს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **თამარ დალაქიშვილი**. ჯგუფებში ყოველდღე ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჰასპის HACCP სურსათის უვნებლობის პროგრამის განხორციელებას. კვების პროცესი ერთ-ერთი რთული და საპასუხისმგებლო საქმეა, რომელსაც მრავალი წელია შესანიშნავად უძღვებიან გამოცდილი მზარეულები: **ჯულიეტა მამალაძე, ნათია ოთარაშვილი** და **მზია გვილია**. ბაგა-ბაღს, ერთგულად ემსახურებიან: საქმეთა მმართველი **თამარ მოსიძე**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი **მაკა სანაია** და მისი მოადგილე **მაია ლაბარტყავა**; ასევე, ტექ. პერსონალი: **ეკატერინე გოგინაშვილი, ჟუჟუნა ტვილდიანი, რუსუდან ჯიმშელაძე, თალიკო დაუთაშვილი** და **ნათია მესხიძე.**

მზად ვართ, ბაგა-ბაღის მთელს გუნდთან ერთად, მომავალი თაობის აღზრდა-განათლებისთვის თავდაუზოგავად ვიშრომოთ და ამ მეტად რთულ, საპასუხისმგებლო საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ – ამბობს **ლალი ოთარაშვილი**, რომელიც თავისი მრავალწლიანი მოღვაწეობით, უდიდეს საქმეს აკეთებს და სხვებისთვისაც მაგალითის მიმცემია.

ანანო სამელია

ზურაბ მამულაშვილი

საპატარძლო კაბა

ჩემს თბილისში მზე არის და სითბო,
ფრინველები ჟღურტულებენ მშვიდად,
ჩემი გული სხვა სიახლეს ითხოვს,
თუმც, სურვილი არ სრულდება ხშირად.

ვხედავ, სულში შლეგი ქარი დაქრის
და ძალუმად არხევს ფაქიზ გრძნობას,
ნუთუ, ერთხელ მოვესწრები მაინც,
ჩემს ქალაქში თოვლს და დიდთოვლობას.

ჩამობარდნე, ჩამობარდნე მალე,
ვიდრე ნაზი სიყმაწვილე წავა
და თბილისის ულამაზეს ქალებს,
მოუქსოვე საპატარძლო კაბა.

***

ექსპრომტი: 85 წლის გულით
ახალგაზრდა კლასიკოს
მწერალს ***რეზო მიშველაძეს ზურაბ მამულაშვილისაგან***

ნოველები, ნოველები,
საოცარი ნოველები,
თუნდაც ათჯერ დავეჭიდო
ერთხელაც ვერ მოვერევი.
როგორც ადრე გადმოსცემდნენ
ორბელები, თორელები,
დღეს, რეზოს აქვს აღწერილი
დღევანდელი მოვლენები.
ტომეული, ტომეული,
25 ტომეული,
მის ნიჭსა და იმის კალამს
არსად არ ჰყავს ორეული.
ყველასათვის ახლობელი,
არავისთვის შორეული,
კვლავ ბევრი აქვს დასაწერი,
საქმე, ჯერ არ მოლეული,
აბა, ისე კი არ არის,
კლასიკოსად წოდებული,
გული-გულად მორეული,
სიტყვა-სიტყვით მორეული.
დიდხანს ჰყავდეს საქართველოს,
გული ამბობს მოფერებით,
უფრო მეტი რუსთველი და
უფრო მეტი ნობელები.

76-ე ბაგა-ბაღი

ბავშვების ფსიქოლოგია და აღმზრდელების როლი

ბავშვის გონებრივად განვითარებაში, სკოლამდელი აღზრდის პერიოდი არსებითად მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელიც არა მხოლოდ ცოდნის შეძენას, არამედ სოციალური, ემოციური და შემეცნებითი უნარების განვითარებასაც მოიცავს. ცხადია, რომ ადრეული ასაკი ბავშვის ტვინის განვითარების ინტენსიური ფაზაა. ამ პერიოდში პატარები ითვისებენ კომუნიკაციის უნარებს, ემოციურ თვითგამორკვევას და სოციალურ ინტეგრაციას. ფსიქოლოგები ხაზს უსვამენ, რომ აღსაზრდელების ემოციური უსაფრთხოება და სტაბილური გარემო, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის შემდგომ ქცევასა და სწავლის პროცესზე. აღმზრდელები კი, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ბავშვის პიროვნების ფორმირებაში. მათ უნდა შექმნან უსაფრთხო და მეგობრული გარემო, სადაც პატარები თავისუფლად გამოხატავენ ემოციებს და იძენენ ახალ ცოდნას. აღ-

მზრდელების ამოცანაა ინდივიდუალური მიდგომა, თითოეული ბავშვის უნარების აღმოჩენა და მათი წახალისება.

აქ ძალიან მნიშვნელოვანია აღსაზრდელების ემოციური მხარდაჭერა, მათ თვითგამორკვევაში ხელშეწყობა, გაცნდებისა და საჭიროებების აღიარება; სოციალური უნარების განვითარება, გუნდურ თამაშებში და სხვადასხვა აქტივობებში ჩართულობა; ასევე, შემოქმედებითი სწავლება და კრეატიული აზროვნების ჩამოყალიბება. ამ მხრივ, აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა, თითოეული ბავშვის უნარებისა და ინტერესების აღმოჩენა, სადაც პატარები თავისუფლად გამოხატავენ აზრებსა და ემოციებს.

ამდენად, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია და არა მხოლოდ, პიროვნული ზრდის საწინდარია, კარიერული წარმატებისა და სოციალური ინტეგრაციის გარანტიაც.

ამ მხრივ, შესანიშნავი გარემოა შექმნილი თბილისის **76-ე ბაგა-ბაღში**, სადაც უდიდესი ყურადღება ექცევა თითოეული ბავშვის უნარებისა და ინტერესების აღმოჩენას, კრეატიული აზროვნების განვითარებას. დირექტორი **ნატო გაბისიანი** თავის მაღალკვალიფიციურ კოლექტივთან ერთად, თავდაუზოგავად იღვწის იმისთვის, რომ პატარებს ყურადღება არ მოაკლდეთ და საბავშვო ბაღში გატარებული წლები მთელი ცხოვრება სასიამოვნოდ დაამახსოვრდეთ. აქ, დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და სანიტარულ-ჰიგიენური წესებიც. კვებას კი, უდიდესი ყურადღება ექცევა, სადაც დაცულია კალორიებიც, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. ეზო მოწესრიგებული და შენობის ინფრასტრუქტურა სრულად განახლებულია.

ნატო გაბისიანი: ახალი სააღმზრდელო წლისთვის, 76-ე ბაგა-ბაღში კაპიტალური რემონტი განხორციელდა, შენობა თანამედროვე სტანდარტის შესაბამისად გარემონტდა და ახალი ავეჯით აღიჭურვა. ასევე, განახლდა თემატური სახელმძღვანელოები, სათამაშოები, სამუშაო მასალები, სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებები. ჩვენი ბაგა-ბაღის მთლიანი გუნდისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წელს განხორციელდა ხელფასების მატება, რაც იმედია, სამომავლოდაც გაგრძელდება. შეირჩა თემატური სახელმძღვანელოები: 2-5 წლიანი შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის – „კურიკულუმი თამაში", ხოლო 5-6 წლიანებისთვის –„სასკოლო მზაობის პროგრამა – თამაში". სააღმზრდელო წლის განმავლობაში, მშობელთა აქტიური ჩართულობითა და ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, მიმდინარეობს მრავალფეროვანი თამაშების დაგეგმვა-განხორციელება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტებით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

კომპეტენტური და უნარიანი დირექტორის თაოსნობით, ბაგა-ბაღში ლამაზი და საინტერესო ცხოვრება ჩქეფს, სადაც ჩვენი ქვეყნის ღირსეული მამულიშვილები იზრდებიან.

მზია გოგოძე

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი"
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N2 (4625)
26 მარტი / 2025 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113